სწავლის გაგრძელების მოტივაციის ამაღლება 88-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებში

ლაშა ქურდიანი

ია ციგრიაშვილი

თამთა პეტრიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერი ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

თბილისის 88-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის თემას წარმოადგენდა „სწავლის გაგრძელების მოტივაციის ამაღლება IX კლასის მოსწავლეებში.“ პედაგოგებთან შეხვედრის შედეგად გამოკვეთილი პრობლემის შესწავლა მოხდა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. მასწავლებელთ/მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფებმა და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აღნიშნული კლასის მოსწავლეების უმრავლესობას არ სურს სწავლის გაგრძელება IX კლასის შემდეგ, რადგან აქვთ ძალიან დაბალი მოტივაცია და ვერ აცნობიერებენ განათლების მნიშვნელობას. პედაგოგების აზრით, მოსწავლეების დაბალი მოტივაცია რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, მშობლების დაბალი ჩართულობა და მოსწავლეების პირადი განწყობა. თავის მხრივ, მოსწავლეებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მათთვის სასკოლო გარემო ერთფეროვანია და სწავლას კომპიუტერი ურჩევნიათ. მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგად და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა ოთხი ინტერვენცია და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები პედაგოგებისთვის. ინტერვენციებმა ვერ აამაღლეს სწავლის გაგრძელების მოტივაცია მოსწავლეებში. თუმცა, კვლევა თავისთავად მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ მცირედით მაინც შეიცვალა მოსწავლეების განწყობა და დააფიქრა მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ამისა, პედაგოგებმა პრაქტიკული კვლევის ფარგლებში პრობლემის ერთობლივად გადაჭრის მუშაობის გამოცდილება შეიძინეს, რასაც მომავალში ალბათ უფრო წარმატებით გამოიყენებენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოსწავლეების დაბალი მოტივაცია, მოტივაციის ამაღლება, სწავლის გაგრძელება